№ 67 მარტი 28, ხუთშაბათი 1891 მარტი 28, ხუთშაბათი № 67

# ივერია



| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---


თანახმად განაჩენისა ქუთაისის სამოქალაქო საბჭოისა, ცხა თებერვალს შემდგარისა, ამით ეცხადება შენობათა ქ. ქუთაისში პატრონებს, რომლებზედაც ირიცხება პირველს იანვრამდის ამა წლისა დასაფასებელი გარდასახადი (Недоимка оцѣночнаго сбора), რომ ისინი განთავისუფლებულ იქმნებიან ჯარიმისაგან, რომელიც ქალაქს მათგან ერგება, თუ გარდასახადს შემოიტანენ ოთხის თვის განმავლობაში, დღიდან ამა განცხადებისა. (3—3)

სახელმწიფო ოპერის თეატრში კვირას, 31 მარტს, გამართული იქმნება

კონცერტი ბ-ნ ქორიძისა

მონაწილეობას მიიღებენ: ახლად შედგენილი მის მიერ ხორო, ქ-ნი სტეფანსი და ბ-ნი ყიფიანი.

დასაწყისი 8 საათზე (3—1)


## სხვათა შორის

საკვირველნი არიან სატახტო ქალაქთა ჟურნალ გაზეთების რედაქციები. ოღონდ ვინმემ შეუხანხლოს რამ მათზე მოშორებულ ქვეყნების თაობაზე და ღმერთმანი იმას დაგიდევენ გაარჩიონ ტყუილი და მართალი, აიღებენ და სიხარულით დაჰბეჭდენ, ვითომდა ჩვენი თვალი ყველგან და ყველასა სწვდება და არა გამოგვეპარება რამეო. ეს თვალთა წდომა მეტად საქებურია, რომ ფრიად სამწუხარო არ იყოს ის ცოცხალ-ცოცხალი ტყუილები, რაც იბეჭდება ხოლმე ამ თვალთა წდომის სახელითა. აიღეთ თუნდ ის სულელური, ყოვლად უვიცი, მტკნარი ტყუილები, რომელიც ასე გაბედვით დაუბეჭდია „Сѣв. Вѣстникъ“-ს სახელით „Письма о Грузіи“. არა გვგონია ამისთანა ზორბა, ამისთანა გაპუტყელებული სულელობა სხვაგან სადმე სანთლით ეძებოთ და იპოვოთ ასე უქკუოდ, ასე უცოდინარად დაბლაჯნილი წერილი. აქ სიტყვა არ არის თითქმის უიმისო, რომ მაჟალი ტყუილი არ იყოს. ნეტა ვიცოდეთ ეს ვაჟბატონები რადა და ვისთვის სწერენ, ან რა ახალისებს საწერად იმისთანა კაცს, რომელსაც არც ტვინი აქვს წერისათვის, არც სიკეთე სიმართლის ძიებისათვის. მეორე მაგალითს ამისთანა უშვერ მწერლობისას წარმოგვიდგენს მეთაური გაზეთის „Свѣтъ“-სა, ეხლა-ხან გადმოთარგმნილი და ივერიაში დაბეჭდილი. ჩვენ ეს უთავ-ბოლო წრიპინი უხეიროდ გამოჭრილ კალმისა გადმოვუთარგმნეთ ჩვენს მკითხველებს იმის დასანახავად, თუ რამოდენად ლაღნი და კადნიერნი არიან სატახტო ქალაქთა გაზეთების რედაქციები, რომ ამისთანა ბრალსა, ცილსა და ტყუილსა თავზე ახვევენ კავკასიელთ ხალხთა და სხვათა შორის ქართველებს. დალოცვილებო, თუ მაროლა ხალხის ავ-კარგიანობის შეტყობა უნდათ, რა დიდი საქმეა ადგილობრივვე დაუკვირდნენ ხალხის ცხოვრებას და თუ რამ სათქმელი აქვთ, სთქვან და დაასაბუთონ კიდეც. რაკი სატახტო ქალაქებზე მოშორებულ ქვეყნებზე დაიწყებენ ლაპარაკს ახეთს ცოცხალ-ცოცხალ ტყუილებს გამოაცხობენ ხოლმე, რომ ჰკითხულობ დაჰკვირობ რამოდენა უცოდინარობაა ერთმანეთისა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ნაწილებ შორის. ეხლა კაცთუვალი შუაგული აფრიკისა უფრო კარგად იციან რუსეთის რედაქციებმა, ვიდრე ვითარება თუნდ იმისთანა ქვეყნებისა, როგორიც კავკასიაა ერთობ და საქართველო ცალკე. რაკი ამისთანა ქვეყნებს ხელს მოჰკიდებენ ხოლმე, აიღებენ და არახუნებენ რაც პირზე მოადგებათ. არას დაგიდევენ არც გრძნობას ერის ღირსებისას, არც ერის ნამუსს და პატიოსნებასა. პირიქით ყოველს ბოროტს, ყოველს ავს აიღებენ და მოგახვევენ თავზე, თითქო აქ არაფერიაო. ჩვენა გვგონია, რომ ამისთანა ქცევა რუსულ გაზეთების რედაქციებისა სირცხვილად უნდა ჩაეთვალოსთ და ამისთანა რედაქციებ შორის გაზეთის „Свѣтъ“-ის რედაქციას ამ ჟამად პირველი ადგილი უნდა დაეთმოს.

## ახალი ამბავი

*** როცა კოხის მიერ მოგონილ წამლის ხმა გავარდა, ტფილისის საქალაქო სამკურნალომაც გაჰგზავნა ბერლინს ექიმი ჰაუდელინი ამ წამლის საშოვნელად და ხმარების შესასწავლად. 25 ამ თვეს სამკურნალოს მოუვიდა ბ-ნ ჰაუდელინის მიერ ბერლინიდგან გამოგზავნილი ორი შუშა კოხის ლიმფისა და დღეს, ოთხშაბათს, შუადღისას, მთელის კომისიის თანადასწრებით, — რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ გოლბეკი, კიმონტი, რეხტზამერი და სხვ. — ჰლიქის სიწვილით სამს ავადმყოფს უწამლეს ამ წამლით; ამ სამს ავადმყოფში ორს სიწვილა საპეზედა აქვს, ხოლო მესამეს წელზედ. წამლობა სამკურნალოში მუქთია, ხოლო როგორც საზოგადოდ მიღებულია, ხარჯის ფულად, იღებენ თთვეში 12 მანეთს.

ამას იქით კერძოდ სხვა მკურნალებს ნება აღარ ექნებათ ამ სამკურნალოში კოხის ლიმფით წამლობისა.

*** ქალაქის ხაბაზებს შეუდგენიათ საერთო ქაღალდი და მიუნდვიათ თავის უსტაბაშისათვის ქალაქის საბჭოსათვის მისართმევად. ამ ქაღალდში ხაბაზები ამბობენ, რომ ფქვილი ქალაქის ბაზრებში ძვირია, განსაკუთრებით მესამე ხარისხის პურისა. ჩარჩებისაგან სულის დგმა არ არის, ისინი ყიდულობენ წინდაწინვე და ჩვენ იძულებულნი ვართ ფქვილი ან წისქვილებში და ან იმავე ჩარჩებისაგანვე შევიძინოთ ძვირადაო. ამიტომაც ხაბაზები სთხოვენ საბჭოს მესამე ხარისხის პურზედ $1/2$ კაპეიკს მომატებას.

*** კავკასიის გზათა უწყებას გუშინ ამ თთვის 27 დეპეშები მოუვიდა კავკავის გზის სხვა-და-სხვა სადგურებიდგან იმის შესახებ, რომ ჩამოწოლილი თოვლის ზვავი სიონთან სადგურ კობს ახლოს უკვე გაუსუფთავებიათ. კავკავის გზაზე დიდი თოვლი მოდის თურმე, ფოსტა და მგზავრები ძალიან გაჭირვებაში არიან.

*** გუშინ-წინ რუსეთის ფოსტა არ მოვიდა, რადგანაც კავკავის გზა გაფუჭებულია, ფოსტა მხოლოდ გუშინ ნაშუადღევს ორ საათზე მოვიდა ტფილისს ხუთის ფურგუნით.

*** არტისტი ი. ვ. ტარტაკოვის კონცერტში 2 აპრილს მონაწილეობას მიიღებს ცნობილი არტისტი-ქალი ვ. მ. ზარუდნაია.

*** რკინის გზის ჟანდარმების მმართველობამ დეპეშა მიიღო იმის შესახებ, რომ ამ თთვის 25 საღამოთი, ვიღაც ორი ავაზაკი დასცემია თავს გასაძარცვად რკინის გზის სადგურ ნატანებიდგან მომავალ მგზავრს, რომელსაც ერთი ავაზაკთაგანი მარჯვენა მხარში დაუჭრია ხანჯლით. ავაზაკნი ვერ შეუპყრიათ.

*** ფურერის ცირკი მომავალ კვირას ბაქოში მიდის.

*** ერევანში და ყარსში ამ თთვის 25 ღამეს დიდი ქარ-ბუქი ყოფილა. დეპეშით იუწყებიან იქიდგან, რომ მრავალი საქონელი დაიღუპა და მრავალი ბაღები ააოხრა ამ ქარ-ბუქმაო.

*** ყაზახის მაზრაში რაღაც სატკივარი გაჩენილა, რომლითაც მრავალნი იხოცებიან. ექიმებს ვერა გაუგიათ-რა ამ სატკივრისა და ციებისაგან ჰკურნავდნენ თურმე ავადმყოფებს. ეხლა-კი აღმოჩენილა, რომ შარშან ამ მაზრაში საქონლის ჭირი ყოფილა, გლეხნი თურმე ჰკლავდნენ ავადმყოფ საქონელს და ყაურმათ ჰხრაკავდნენ. ამის წყალობით გავრცელებულა ეს ავადმყოფობა.

---

# ფელეტონი

### ზანგის სამკვიდრო.

(ისპანიური ლეგენდა ვ. ირვინგისა)

შემდეგი. იხ. „ივერია“ № 66

უბედურის ზანგის სიკვდილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, პერეგილის ცოლი მოთმინებიდამ გამოიყვანა.

— ახა ჩვენზედ, რაც დაგვემართება. აი რა სიკეთე დაგმართა შენმა სულელურმა კაცთ-მოყვარეობამ! რა უნდა მოგველოდეს, თუ ამ მკვდრის კაცის გვამი სახლში გვინახეს! ჩაგვსვამენ საპყრობილეში და კაცის მკვლელსავით გაგვასამართლებენ და თუნდაც გავმართლდეთ, მოსამართლეთა ხელში ჩავარდნილთ რაღა ხეირი დაგვეყრება! რაც გვაბადია, ყველაფერს წაიღებენ და ჩვენ ცარიელ-ტარიელი დავრჩებით.

კეთილი პერეგილიც არა ნაკლებ იყო აღშფოთებული და შეწუხებული ამ ამბით და თითქმის კიდეც ნანობდა, რად ჩაიდინე ეს კეთილი საქმე, რომელსაც სხვები სისულელესა და ავ-კაცობას უწოდებენო. ბევრის ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ გადასწყვიტა:

— ჯერ გათენებამდის კიდევ დრო დარჩენილა, მაშასადამე შემიძლიან, რომ უბედურის ზანგის გვამი ქალაქს გარედ გავიტანო, იქ მდინარის ნაპირას სილაში სამარე გავუთხარო და მიწას მივაბარო.

ასეც მოიქცა. ცოლის დახმარებით მიცვალებულის გვამი გაახვია იმ ჭილობში, რომელზედაც მოკვდა, აჰკიდა ვირს და გაუდგა გზას.

საუბედუროდ პერეგილის პირდაპირ ერთი მისი მეზობელი დალაქი პედრილი სცხოვრებდა. ეს პედრილი მეტის-მეტად გაქნილი და გაიძვერა, მეტის-მეტად ბოროტი, მეტის-მეტად ჭორიკანა და ენა ჭარტალა კაცი იყო. ასე გეგონებოდათ, რომ ყოველივე ბიწიერება და ნაკლი დალაქისა მარტო ამ ერთს კაცს დაუსაკუთრებიაო. პედრილის სახის გამომეტყველება მელიას მოგაგონებდათ, სიარული ბაჯბაჯით იცოდა და მიხვრა-მოხვრა ძალიან საზიზღარი ჰქონდა. განთქმული სევილიელი დალაქი მას ვერაფერში ვერ შეედრებოდა და განსაკუთრებით მეზობელთა ავ-კარგიანობისა და ყოფა-მდგომარეობის ცოდნაში. ხოლო რაც მან იცოდა, ის აღარავისთვის დაფარული და საიდუმლო აღარ იყო. წყალი უფრო ადვილად გაჩერდებოდა საცერში, ვიდრე ნაძუძი პედრილის გულში. იმის შესახებ ქალაქში ხმა დადიოდა, რომ მხოლოდ ცალის თვალითა და ცალის ყურით სძინავს, და ამ ნაირად იმის თვალსა და ყურს ძილშიაც არაფერი გამოეპარებაო. ეს რამდენად მართალი იყო, ვინ იცის, ხოლო ის-კი ცხადია, რომ ყოველგვარის ჭორის და დაუჯერებელის ამბების შემთხზველი მთელს გრენადაში პედრილი იყო, რის გამოც იმდენი მუშტარი ჰყავდა, რამდენიც ყველა სხვა დალაქებს არ ჰყოლია.

ამ ახირებულმა ცნობის მოყვარე დალაქმა შენიშნა, რომ პერეგილი უდრო-დროს დაბრუნდა სახლში, აგრეთვე გაიგონა პერეგილის ცოლის ანჩხლი ლაპარაკი და ყოველივე ეს საკმაო იყო, რომ ეთვალ-თვალებინა და გაეგო, რა ხდებოდა იმისი მეზობლისას. სხვათა-შორის, ისიც დაინახა, თუ როგორ შეიყვანა პერეგილმა თავის სახლში ვიღაც ზანგის ტანისამოსით მორთული კაცი. ამ ამბავმა ჭორის მოყვარე დალაქი დიდად გააკვირვა და დააფიქრა, ასე რომ მთელი ღამე არ დასძინებია. მალ-მალე მიდიოდა ფანჯარასთან და იქიდამ მზვერავის თვალით უკვირდებოდა ყველაფერს, რასაც პერეგილი და იმისი ცოლი აკეთებდნენ. გათენებისას ისიც დაინახა, რომ პერეგილმა რაღაც არა ჩვეულებრივად დატვირთა ვირი და სადღაც გაემგზავრა. ჭორიკანა დალაქს ცნობის მოყვარეობა ციებად გადაექცა. საჩქაროდ ჩაიცვა ტანისამოსი, გამოუდგა პერეგილს და შენიშნა, რომ უკანასკნელმა ქვიშაში რაღაც ადამიანის გვამის მსგავსი დაჰმარხა.

ამას შემდეგ დალაქი გამოეშურა შინისაკენ და მზის ამოსვლამდის იმის ფიქრსა და გამორკვევაში იყო, თუ რა უნდა ყოფილიყო ის, რაც პერეგილმა დამარხა. მოსვენება დაეკარგა: ვერც წვებოდა, ვერც დგებოდა, ვეღარც ჯდებოდა. ამ მდგომარეობაში იყო, სანამ მზე ამოვიდოდა. მაშინ-კი აიღო ტაშტი და სხვა სადალაქო წყობილება და მსაჯულისკენ გასწია, რომელსაც ყოველთვის წვერსა ჰპარსავდა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ჰფხეკავდა.

მსაჯული ახალ გაღვიძებული იყო. პედრილმაც დაუცადა მის ადგომას და როცა ადგა, დასვა სავარძელზე, შემოახვია ზეწარი, ნიკაპს ქვეშ ტაშტი მიუდგა, წვერი გაუსაპნა და მოჰყვა თავისებურად:

— საკვირველი ამბავია, საკვირველი! ამბობდა ის და ერთსა და იმავე დროს დალაქობასაც შვრებოდა და გაზეთობასაც: საკვირველი ამბავია-მეთქი: მკვლელობა, გაძარცვა და მოკლული გვამის დამარხვა — ყოველივე ეს ერთს ღამეს მოხდა.

— რაო, რას ამბობ? დაუბღვირა მსაჯულმა.

— რას ვამბობ რომელია, მიუგო

*** ფოთი: 24 მარტს აქ შესდგა კრება ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა. ამ კრებაზედ უნდა ამოერჩიათ თავმჯდომარე საზოგადოების გამგეობისა ბ-ნ მენდელის მაგიერ. არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ ბ-ნი ავგერინო.

კრებამ გადასწყვიტა ოცი თუმანი გადაეცეს შესაწევნელად ფოთისა და ახალ-სენაკის დედათა-სკოლებსაო.

*** სოფ. დიღომი (ტფილ. მაზრა): 24 ს მარტს აქაურმა მამასახლისმა ყრილობა მოახდინა და გამოუცხადა მაზრის უფროსის განკარგულება იმის შესახებ, რომ დიღმის სამამასახლისოდამ უნდა გამოიდეს მოთხოვნის უმალ ას-ოცი კაცი კალიის საწყვეტად და გაემგზავროს იმ სოფლებისაკენ, საცა ეს საშინელი მტერი გაჩნდებაო. მამასახლისმა სთხოვა შეკრებილ ხალხს, აიღეთ საჭირო იარაღი და გადით დიღმის მინდორზედ კალიის კვერცხების საძებნადაო. თუ ბლომად აღმოჩნდა კალიის კვერცხი, ვსთხოვოთ მაზრის უფროსს, რომ ისევ ჩვენს სოფელშივე დარჩნენ კაცები კალიის საწყვეტადაო. ხალხმა დაუყოვნებლივ აასრულა მამასახლისის თხოვნა და 12 საათზედ მოეფინა დიღმის მინდორს. შარშანვე დიღომი ვერ გადურჩა კალიას, თუმცა-კი ვნება არა მოუტანია-რა, რადგანაც გვიან გვესტუმრა, მაგრამ დიღმის მიდამოს არ გასცილებია და, რასაკვირველია, აქვე დაიბუდებდა და კვერცხს დასდებდა. სალამოზედ, როცა ხალხი შინ დაბრუნდა მინდვრიდამ, თან მოიტანეს ოთხ გირვანქამდის კალიის კვერცხი.

*** მარტის 24 გიორგი მიკირტუმოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 22 ამ თვისას სადგური გამიტეხეს და 150 მანეთის ნივთეული მომპარესო.

*** ამ თვის 25, ძველს ნავთლუხის გზაზე იპოვნეს გვამი გეურქა აგარუნოვისა. მიცვალებულს ძალ-დატანებით მოკვლისა არა ეტყობოდა-რა.

*** 26 მარტს, კახეთის ქუჩაზე მესამე ბატალიონის ეტლში შებმული ცხენი დაფთხა და გასრისა ტფილისის მცხოვრებელი 60 წლის ქალი პაატოვისა. მიცვალებულის გვამი ნათესავებს გადასცეს.

◆◆

### პასუხად ბ-ნს კ. მესხს

„ივერიის“ გუშინდელს ნომერში ამოვიკითხე ერთის წერილის სათაური: „ქართველ ქალებს.“ არ ვიცი-კი რისთვის, და ისე მედიდურად, ხმამაღლა და თვალების ბრიალით წამოვიძახე ეს სიტყვები, რომ გულმა უნებურად ძგერა დამიწყო. ასე მრისხანედ მოვემზადე წერილის წასაკითხავად. თანაც მინდოდა წაკითხვამდე მიმეხვდარეიყავ, თუ რას სწერდნენ საბრალო ქართველ ქალების შესახებ. ორში ერთს მოველოდი: თუ ვინმემ გაჰბედა კიდევ ქართველის ქალების უპატიურად ხსენება, რასაკვირველია, ამას გულ-გრილად ვერ ავიტანდი და არ შეიძლებოდა არ მწყენოდა; ხოლო თუ კეთილად მოგვიხსენიებდა, მაინც ეს მედიდური სახის გამომეტყველება მეჭირვებოდა, რომ თავ-მომწონედ შემძლებოდა მეთქვა მამაკაცებისათვის: „მადლობა ღმერთს! არც ჩვენა ვყოფილვართ მცონარენი. ჩვენც შეგვძლებია ქვეყანაზე კეთილი საქმე და სხვ.“ მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, რომ პირველ სტრიქონების წაკითხვისათანავე უსიამოვნოდ შევიქენი ჯერ უცნობის მწერალისაგან.

„ვინ არ იცის, რომ ქალებს შეუძლებელიც შეუძლიანთო“.

ასე იწყებს მწერალი. უსიამოვნოდ, ცივად მომხვდა გულში ეს სიტყვები.

„ეს საქმე დიდიც არის, სასარგებლოც, სასიამოვნოც და სასახელოც! ძნიმე შესასრულებელია, თუ არ მოინდომეს გულით და ძალიან ადვილი—თუ ქალები თავიანთ ბეჯითობას და მუყაითობას მოანდომებენ ამ საქმესო,

განაგრძობს მწერალი. ეხლა-კი სმენად გადავიქეცი. წარმოშიდგა, ვითომც ერთ დიდ დარბაზში მწკრივად ვდგევართ რამდენიმე ქართველი ქალი ქართულის ტანისამოსით. ჩვენ წინ დგანან რამდენიმე საპატიო მამაკაცნი თავიანთ ქუდებით ხელში და ერთი მათგანი მაღალის ხმით გვეუბნება იმ სიტყვებს, რომელიც ზევით მოვიხსენე. ღმერთო ჩემო, რა ნეტარებაა!—გულის ფანცქალით ვფიქრობთ ჩვენ: უსათუოდ დიდის საქმის მონდობას გვიპირებენ. თანაც პასუხი მომზადებული გვაქვს: „დიდის სიამოვნებით, ბატონებო! ნეტავი-კი შევიძლოთ, რაიმე სარგებლობა აღმოგიჩინოთ და არამც თუ მუყაითობა და ბეჯითობა, ჩვენი თავი მსხვერპლად შევგვიწირავს კეთილის საქმისათვის, ოღონდ გვიბრძანეთ!“ ამ დროს გამოვერკვევი და აღტაცებით ვავლებ გაზეთში თვალებს შემდეგ სტრიქონებს. მხოლოდ ეხლა ვგრძნობ, რომ მალე გავიგებ, რასაც გვავალებენ, მაგრამ, საუბედუროდ, რას ვკითხულობ შემდეგ?

„განსაკუთრებით მივმართავ მშვენიერს, ლამაზ ქალებს!.. ვინ დაიშურებს ან იმერეთ-სამეგრელოში, ან ქართლ-კახეთში ჯიბიდგან აბაზს, მანათს ან უფრო მეტს ამოიღოს, თუ-კი ლამაზი ქალი ხელს გაუწოდებს!.. თუ რომელმამე მამაკაცმა უარი სთქვას, სირცხვილი იმ მამაკაცს, თორემ ქალს რა უშავს—მისი სილამაზე სხვა მამაკაცს მაინც მოხიბლავს და მაინც!..“

ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მშვენიერის, მნიშვნელობით სავსე სიტყვებით მოველოდი იმ საპატიო მამაკაცებისაგან ჩვენდა კეთილის საქმის მონდობილობას! ამის ნაცვლად რა მესმის! აქ-კი ველარ მოვითმინე და წერილის ბოლოს მივაშურე, რომ გამეგო, ვინ იყო დამწერი! წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, ვინ გამოდგა!—ბ-ნი კ. მესხი. სრულებით არ მოველოდი! კ. მესხი სთხოვს მშვენიერს, ლამაზს, კეკლუცს ქართველ ქალებს (კიდევაც უანგარიშნია, რამდენია ამისთანა ქალები მთელს საქართველოში), რომ თავისის სილამაზით და სიკეკლუცით, მოხიბლონ მამაკაცები და იმის ძალით ვალდებულ ჰყოს, მოხიბლულმა გადაიხადოს თითო აბაზი, მანათი ან უფრო მეტი. რასაკვირველია ეს ქალის სილამაზეზე იქნება დამოკიდებული: რაც უფრო ლამაზი იქნება, მისის აზრით, მეტს გადაახდევინებს მოხიბლულს. იკითხავთ, მერე რისთვის?—ქუთაისში თეატრის ასაშენებლად. კეთილი და პატიოსანი, დიაღ კეთილი საქმეა, რომ ქუთაისში კარგ თეატრის შენობას ელირსოთ. არ იფიქროთ, რომ მე, ამ სტრიქონების დამწერი, რაიმე საქველ-მოქმედო საქმის წინააღმდეგი ვიყო. პირიქით, დიდად მოხარული ვიქნები, თუ-კი რამ სასარგებლო გაკეთდება ქუთაისში. მაგრამ მე ეს მინდა გკითხო, ბატონო კ. მესხო: ნუ თუ სხვაფრივ არ შეგეძლოთ, თუ სიკეთეს იზამდი, მიგემართათ საზოგადოებისთვის, გეთავაზებიათ და გეთხოვათ, რომ ყველა საშველება აღმოეჩინა? დაანებეთ თავი თითო მანათს და უფრო მეტს. ყოველს თქვენს მიერ მოხსენებულ ადგილებში, ესე იგი, გურია-სამეგრელოსა და ქართლ-კახეთ-იმერეთის ქალაქებსა და დაბებში თითო ხეინდისიანს კაცს რომ დაავალოთ,— რასაკვირველია თუ გაირჯებით და ითავებთ, როგორც ერთი უკეთესი მსახური მელპომენისა ჩვენში,—დარწმუნდით არავინ დაიშურებს, სულ უკანასკნელი ღარიბიც-კი თითო-ოროლა შაურს და შეძლებული-კი მეტსაც, იმისთანა საქმისათვის, როგორიც არის სასახელო თეატრის აშენება ამ გზით, ჩემის აზრით, ერთს წელიწადში, ან სულ ბევრი ვსთქვათ, ორ წელიწადში შეიძლება ორი იმდენი ფული შეგროვდეს, რამდენსაც თქვენი ლამაზები მამაკაცთა მოხიბლვით შეაგროვებენ. თქვენის ანგარიშით, მთელს საქართველოში 1500 ლამაზი, კეკლუცი ქართველი ქალი ყოფილა.

ნეტა რა ნიშანი ჰქონდა ბ-ნ კ. მესხს მათემატიკაში (სკოლაში)? ეხლა ისეც უნდა გვანგარიშნათ, ბატონო, ამ თქვენ 1500 ლამაზში ყველა მოისურვებს თუ არა, აღგეს ბოხჩით ხელში, და შეუდგეს მამაკაცების ხიბლვას? ამ რიცხვში უსათუოდ ბევრი იქნება წვრილ-შვილიანი კეკლუცი, რომელსაც ოჯახის გარემოება და თავისი პაწია ბავშვი ნებას არ მისცემს იბრინოს სოფლის მოედანზე ან მეზობლებში, როცა საჭირო იქნება მოსახიბლავი მამაკაცები ეძიოს. ამასთან ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ რიცხვში გაუთხოვარმა ლამაზებმა მარტო უცოლო მამაკაცები უნდა ეძიონ, რადგან მოხიბლვაზეა საქმე, თორემ მოხუცებულების მოხიბლვა, თითოსაც რომ ეცადონ, ძნელი საქმეა. მაშასადამე ისინი თქვენის აზრით, არც სახყიდელს გაიღებენ.

ერთიც უნდა მოგახსენოთ. თქვე დალოცვილო, რაღა ჩვენ გვრეკავთ მოედანზე ბოხჩებით ხელში? ვსთქვათ სხვა-და-სხვა ლამაზებმა თქვენ მოგმართეს ხშირად ფულის სათხოვნელად. გამოტყდით, მოიხიბლებით, თუ არა ყოველთვის? თქვენს წერილში იმედს გვაძლევთ, სირცხვილი იმ მამაკაცებსა, ვინც არ მოიხიბლებაო, თორემ ქალს რა უჭირსო! ეს-კი ნამეტანია, ბატონო. იმ მამაკაცს სირცხვილიც და, თუ გინდა, უფრო მეტიც, მაგრამ, ნუ თუ ჩვენ არ უნდა შეგვრცხვეს, როდესაც კუდ-ამოძუებულ ძაღლსავით უკან გამოვბრუნდებით ცალიერის ბოხჩით არ-მოხიბლულის მამაკაცისაგან? გეტყობათ, თქვენ ხშირად უნდა იხიბლებოდეთ ლამაზებისაგან, ხშირად ფულის გაღება-კი არა მჯერა თქვენგან. უფრთხილდით გულის სისუსტე არ დაგჩემდეთ ამდენის მოხიბლვით.

ერთსაცა გკითხავთ, ბატონო: რა დაგიშავეს საბრალო ულამაზოებმა? რა გენაღვლებოდათ, იმათაც მოეწვდინათ თავიანთი წვლილი ამ კეთილის საქმისთვის? თუ ფიქრობთ, რომ ამ თქვენს 1500 ლამაზში სახელი და გვარი არ ავისი გიხსენებიათ, და იმედი გაქვთ ყველა ქალს ლამაზი და კეკლუცი ჰგონია თავისი თავიო, დიდად შემცდარი ბრძანდებით! ჩვენ ყველას თითო სარკე მოგვეპოვება სახლში და ძალიანაც ვცდილობთ, რომ სწორპირიანი სარკე გვქონდეს. მაშასადამე, ყველამ უნდა ვიცოდეთ, ვინ ულამაზო ვართ და ვინ ლამაზი და კეკლუცი. თუ მაინცა და მაინც გინდოდათ მარტო ქალებისთვის დაგევალებინათ ეს საქმე, განა არ შეგეძლოთ, ყველა ქალებისთვის დაგევალებინათ განურჩევლად!? დიაღ, რიგია რომ ჩვენც შეძლებისადაგვარად ვცდილობდეთ საზოგადო, სასარგებლო საქმისთვის, ნამეტნავად ჩვენში, რადგან ჩვენც კაცნი ვართ, ადამიანები. ასე რომ მოქცეულიყავით, მაშინ ჩვენც, ულამაზოებსაც, შეგვეძლო, თუ სილამაზით ვერავის მოვხიბლავდით, მივვემართა ჩვენის ნათესავებისა, ახლო მეზობლებისა და ნაცნობებისათვის და ჩვენს წვლილთან ერთად მოგვეწოდინა რამდენიმე მანათი ხსენებულის საქმის სასარგებლოდ. მაგრამ, რადგან თქვენ მარტო ლამაზებს ავალებთ ამ საქმეს, რასაკვირველია, ჩვენ ყველა უარს გვეტყვის, თუნდა ახლო ნათესავიც იყოს. ყველა გვეტყვის, ეგ ხომ ლამაზებს მიანდეს, ხომ არ გნებავთ ძალად ლამაზობა დაიჩემოთო და სხვ..

რაც შეეხება თავიანთ წვლილს უმეტესს ჩვენგანს, თქვენ სულ რომ მახინჯი გვეძახოთ მაინც მივაწვდით ამ საქმეს, მაგრამ ეს ხომ თქვენის აზრით ისე გამოვა, რომ ვითომ ლამაზებათ დაგვისახავს ჩვენი თავი. ამას გარდა, ულამაზო ქალებში იქნება ბევრი ისეთი თავ-მოყვარეა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, თავ-მომწონე, რომ იფიქროს: „ჩვენ საჭირონი არ ვყოფილვართ, დეე, ვისაც მიანდვეს, იმათ იცგენ თავში, ჩვენ რაღად შევწუხდეთო“. რასაკვირველია, ამას მარტო უგუნური იფიქრებს და არც სინიდი-

---

დალაქმა და თან საპონი მიუს-მოუსვა ტუჩებზე; იმას ვამბობ, რომ პერეგილ გალიეტამ გაძარცვა და მოჰკლა ზანგი, რომელიც დღეს გათენებისას დამარხა კიდეც.

— მერე შენ საიდამ იცი, დაეკითხა მსაჯული.

— მოითმინეთ, ბატონო, და ყველაფერს გაგაგებინებთ, უპასუხა ენაჭარტალა დალაქმა და თან ნიკაპზე სამართებელი გაუსვა.

ამას შემდეგ მოჰყვა და ყველაფერი უამბო, რაც ნახა და რაც არ ენახა. ამავე დროს ჰპარსავდა კიდეც, საპონსაც უსვამდა და ნიკაპსაც უშრალებდა. დასასრულ კიდევ გაიმეორა: აი ასე მოხდა ეს ამბავი, ასე მოხდა, რომ კაცი ერთს ღამეს მოჰკლეს, გაძარცვეს და დამარხეს კიდეც. უფრო საკვირველი ამბავი განა შესაძლებელია სადმე?!

აქ მოკლედ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, თუ რა კაცი ბრძანდებოდა ეს მსაჯული. ეს მთელს გრენადაში თავის შურითა, კრიჟანგობითა და მექრთამეობით განთქმული იყო. მართალია, ზოგჯერ მართლ-მსაჯულების გზას არ აუქცევდა, მაგრამ რა თავში იხლიდით იმისთანა მართლმსაჯულებას, რომელიც ოქროთი უნდა გეყიდნათ. გაიგონა თუ არა მსუნაგმა მსაჯულმა ეს ამბავი, მაშინვე იმის ანგარიშში შევიდა, თუ რამდენის აწაპვნა შეიძლება ამ საქმისაგანაო. ხუმრობა ხომ არ არისო, ჰფიქრობდა: კაცი მოჰკლეს და გაძარცვეს, აქ უსათუოდ აუარებელი სიმდიდრე იქნება გატაცებული და ამ აუარებელ სიმდიდრიდამ ცოტა რამ მეც არ მერგოს, ცოდვა იქნებაო. რაკი ვერცხლის მოყვარე მსაჯულმა ეს ასე გადასწყვიტა, შემდეგ იმის ფიქრს მიეცა, როგორ ჩავიგდო დამნაშავე ხელში, რომ მეც გავმდიდრდე და სახრჩობელასაც საქმე ვუშოვნოვო. ამ გვარად საქმის გარიგება, მისის აზრით, მართლ-მსაჯულების უმაღლესი დანიშნულება იყო. გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ერთს ყველაზე გაქნილსა და გაიძვერა პოლიციის მოხელეს დაუძახა, რომელმაც კარგ მეძებარ ძაღლსავით იცოდა ყველაფრის საგნის აღება და რომელსაც არაფერი მიუგნებელი და შეუტყობელი არ დაურჩებოდა; ყველა ამ სიკეთესთან ის ღირსებაცა ჰქონდა, რომ თავის ხელ-ზევითების ერთგული და ყურმოჭრილი ყმა იყო. აი ამ მეძებარს დაავალა მსაჯულმა დამნაშავის შეპყრობა, რაიცა ისე ჩქარა და დაუბრკოლებლად აღასრულა პოლიციელმა, რომ უბედური პერეგილო, ვიდრე შინ დაბრუნდებოდა, მართლ-მსაჯულების წინ იყო გამოჭიმული, ვითარცა საშინელის დანაშაულობის ჩამდენი. მსაჯულმა თავისი საშიშარი სახე და სასტიკად გამომეტყველი თვალები პერეგილს დააშტერა და ისე საშინლად შეუბღვირა, რომ საბრალოს შიშისაგან აკანკალდა და მუხლები მოეკვეცა.

— გამიგონე, ავაზაკო! დაფარვა შენის დანაშაულობისა, რისთვისაც შენ ჩამოხრჩობის ღირსი ხარ, ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ მაინც მოწყალე და კაცთ მოყვარე ვარ და ყოველსავე შენს თავის გამართლებას რის გამოც ეგ დანაშაულობა ჩაგიდენია, გულ-დამშვიდებით მოგისმენ. ვიცი, რომ ვინც შენ მოჰკალი, იყო ზანგი მაჰმადის სარწმუნოებისა და მაშასადამე დიდი მტერი და მოძულე ჩვენის წმიდა სჯულისა. უეჭველია, შენ მოჰკალ ის სარწმუნოების მეტის მეტად სიყვარულისა და ერთგულების გამო და ამიტომაც მე, რამდენადაც შემეძლება, ვეცდები სასჯელი შეგიმსუბუქო. მომეცი ის სიმდიდრე, რაც იმისათვის წაგირთმევია და შენი დანაშაულობაც იმ ზანგთან ერთად დაიმარხება.

საბრალო პერეგილმა თავის სიმართლის დასამტკიცებლად მოიწვია ყველა წმინდანი, მაგრამ, საუბედუროდ, არც ერთი მათგანი არ გამოცხადდა, ალბად იმიტომ, რომ ურწმუნო მსაჯულის დარწმუნება არც იმათ შეეძლოთ. მთელი ამბავი ზანგის სიკვდილისა თავიდგან ბოლომდე ისე უამბო, როგორც იყო, მაგრამ ამაოდ.

— როგორ ჰბედავ იმის თქმას, რომ იმ ზანგს არც ოქრო ჰქონდა, არც ვერცხლი, არც ძვირფასი რამ სამკაული, რისთვისაც ის შენ მოჰკალი!

— გეფიცებით შემოქმედს, რომ არაფერი იმას არ ებადა, გარდა ამ პატარა ყუთისა, რომელიც გარჯისა და შრომის ფასად მიანდერძა.

— ყუთი ხომ გიანდერძა, ყუთი! შესძახა მსაჯულმა და თვალებიდგან სიხარულის ნაპერწკლები გადმოაფრქვია იმ ფიქრით, რომ ყუთში უსათუოდ ძვირფასი რამე იქნება შენახულიო.—მერე რა უყავი ის ყუთი?

— თუ-კი იმ ყუთს ინებებთ, ეხლავე გაახლებთ. სახედარს კალათა აქვს აკიდებული და იმ კალათაში მაქვს ის ყუთიც შენახული...

არც-კი დაესრულებინა პერეგილის ამის თქმა, რომ პოლიციელი კარში გავარდა და თვალის დახამხამების უმალ მოარბენინა სასურველი ყუთი. მსაჯულს მოუთმენლობის გამო სული მისდიოდა. აკანკალებულის ხელით ახადა თავი და წარმოიდგინეთ იმისი განცვიფრება, რომ სიმდიდრის

სიანი თავ-მომწონეობა იქნება, რომ კაცმა სხვის ჯიბრით საზოგადო საქმისთვის არ იზრუნოს, რითაც-კი შეუძლია, მაგრამ ეს რომ ასე მოხდეს, ხომ თქვენი ბრალი იქნება, ბატონო? რა შუაშია იქ ქალის სილამაზე, სადაც საზოგადო სასარგებლო საქმეზეა ლაპარაკი! თქვენ მოგყავთ მაგალითი რომ ჩეხელ ქალებს ფული შეუგროვებიათ (რასაკვირველია არა იმ გზით, როგორც თქვენ ურჩევთ ქალებს) და თეატრი აუშენებიათ, მაგრამ განა ჩვენს ქვეყანაში არ მოიპოვებიან იმისთანები, კაცი თუ ქალი, რომელიც საქველ-მოქმედო საქმისთვის ცოტად თუ ბევრად იღვწოდნენ? რასაკვირველია, ჯერ იმდენი არაფერი გაუკეთებიათ, რამდენიც ჩეხელ ქალებს, მაგრამ საბედნიეროდ, რაც დრო მიდის თანდათან უფრო ხშირად გვესმის სხვა-და-სხვა კუთხიდამ, რომ აქა და აქ, ამა და ამ საქველ-მოქმედო საქმისთვის წარმოდგენა გამართესო, იქ სალიტერატურო საღამოო, იქაც ლოტარეა-ალეგრიო და სხვ. ღმერთმა ინებოს, უფრო მეტად გავრცელებულიყოს ჩვენში საქველ-მოქმედო საქმის სიყვარული. ნუ-კი გეწყინებათ და აი კიდევ რა უნდა მოგახსენოთ: მეც თქვენებურად დავიწყებ თითქმის ჩემს სათქმელს: ვინ არ იცის, რომ მსახიობს (რასაკვირველია, თუ ის ნიჭით არის დაჯილდოებული) ქვეყნისთვის დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიან. როგორც ისმის, თქვენ ერთი უნიჭიერესი მსახიობი ბრძანდებით ქუთაისში, საზოგადოებისაგან ცნობილი და პატივცემული. ჩვენც გვინახავს, რომ არა ერთხელ დაუფასებიათ ღირსეულად თქვენი სასცენო მოღვაწეობა და ნიჭი, მეტადრე თქვენს ბენეფისებში. მაგრამ უნდა გაგიტყდეთ, რომ არა ერთისა და ორისაგან გაგვიგონია თქვენზე საყვედური, და მეც ასე ვფიქრობ, რომ ერთხელ არ გვახსოვს თქვენგან, გარდა თქვენის საკუთარის ჯიბისა, რაიმე საქველ-მოქმედო საქმისთვის ერთი ბეწვად გაჯილიყოთ. ამის უარს ვერ იტყვით, ბატონო! დიდად ვსწუხვართ, რომ ამისთანა გულ-გრილი ბრძანდებით საქველ-მოქმედო საქმეში. ლამის მთლად გული აგვიყაროთ თქვენზე და ისე გულ-გრილად მოვექცეთ თქვენს წარმოდგენებს, როგორც თქვენ საქველ-მოქმედო საქმეს ეპყრობით. თუ-კი ვილაც უცხოელნი გამოჩენილნი მსახიობნი ჩამოდიან აქ და თქვენგან საჯინიბოთ ხსენებულს თეატრში აჩენენ წარმოდგენების მართვას და აქაც საქველ-მოქმედო საქმისთვის ნაწილს შეგროვილის ფულისას გვიტოვებენ ამოდენა ხარჯის მიუხედავად, რატომ თქვენ-კი არ შეგიძლიანთ, თქვენ, აქაური ქართულ წარმოდგენების მოთავეს, მცირეოდნად გაისარჯოთ, ერთი-ორი წარმოდგენა მაინც გამართოთ წელიწადში. ამ ნაირად, ჩემის აზრით, წელიწადში ორჯელაც რომ გამართოთ საქველ-მოქმედო აზრით ქართული წარმოდგენა, სასახელო საქმეც იქნება და თქვენც, მგონია, არაფერს იზარალებთ. მაგრამ ისე-კი არა, ბატონო, რომ კარგს დროს კარგი პიესები თქვენის ბენეფისებისთვის შეინახოთ და საქველ-მოქმედო საქმისთვის-კი უხეირო დროს უხეირო პიესა წარმოადგინოთ.

დასასრულ, განაგრძობთ თქვენ თქვენს წერილში: „თუ მოინდომებთ, გიმეორებ, არ არის ძნელი და, თუ არ ინებებთ, სჩანს არ გუვარებიათ ქართული საქმე, თეატრი, ხელოვნება, მწერლობა და არც ლამაზები ყოფილხართ“.

ეს ხომ ნიშნის მოგებაა და მაგონებს ბავშობას. როცა უნდათ ბავშვს გააკეთებინონ რამე, აშინებენ, გლახა იქნები თუ ასე არ გააკეთე და ასე არ მოიქეციო. ეხლა-კი, ბატონო, მაგნაირი წაქეზება ჩვენ აღარ შეგვეფერის. ჩვენთან, თუ შეიძლება, უფრო დინჯი, ქვა-დამჯდარი ლაპარაკია საჭირო.

ვინმე ქალი

ქუთაისი 18 მარტი

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ლოთობისთანა და გამოუფხიზლებელ სმისთანა ძნელი ქვეყნად ვგონებ არც ერთი სნეულება და არც ერთი ავადმყოფობა არ მოიპოვება. სხვა რა ისეთი სენია, სიგიჟისა და ჭკვათა არ-მყოფელობის გარდა, რასაკვირველია, თუნდა უსინათლობა აიღეთ, ოთხივ ბეჯითი სიკოჭლე და უხელ ფეხობა, რომ ადამიანი გოხებრივად გადუხჭირდეს, ტვინის ძაფები დაექსაქსოს და მართლაც რომ ჭკვათა არ-მყოფელს დაემსგავსოს. ვინ იცის, რამდენი ადამიანი იღუპება ლოთობისაგან, რამდენია ცოც ხლადვე მკვდარი ამ საშინელის სენისაგან!.. სწორედ დიდს მადლს იზამს, დიდს სამსახურს გაუწევს კაცობრიობას, ვინც ამ საშინელს სენს წამალს რასმე მოუპოვებს, ღონის-ძიებას რასმე უპოვნის და ქვეყანას დაიხსნის ამ თვით ადამიანის გულ ღვიძლში ჩამჯდარ მტერისაგან. აქამდე ასეთი კაცი ჯერ არ გამოჩენილა. ჩვენში მოლებს მოუწოდებდნენ და ლოთს კაცს ავგაროზებს დაჰკიდებდნენ, ლოთობას მოიშლისო. ეს მოლების ავგაროზი ისე ძლიერ ჰმოქმედებდა, რომ ავადმყოფი აძას შემდეგ ლოთობას, თუ არ უმატებდა, არ უკლებდა, უფრო მეტსა სვამდა, რომ ავგაროზი მაქვს და ჩემი ამხანაგები უფრო ადრე დაითვრებიან, მე გვიან მომეკიდება ღვინო და გავიძარჯვებო. ნამდვილი წამალი, ნამდვილი ღონის-ძიება ამ სენის წინააღმდეგ დღევანდლამდე ჯერ არა არის-რა. თუმცა სცდილობენ სიფხიზლის საზოგადოებანი დაარსონ, მაგრამ თვით წევრნი ამ საზოგადოებისანი, წარმოიდგინეთ, სმითა და ღრეობით ეგებებიან თავის არჩევანსა და ახალის საზოგადოების დაარსებას. ასე იყო საქმე აქ ბოლოს დრომდე, მხოლოდ სამის წლის წინად გაზ. „Недѣля“-ში დაიბეჭდა წერილი ექიმის პუბლიცისტის ვ. ო. პორტუგალოვისა. ამ წერილში ხამბობი იყო, რომ საფრანგეთის მეცნიერი ლიუტონი სიმთვრალის წინააღმდეგ ღორთველას (стрихнинъ) ჰხმარობს და ძალიანაც ჰშველის ამ საშუალებით გაბმით ლოთობის მიმდევართაო. დასწერა ეს ბ-ნმა პორტუგალოვმა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ბევრს სასაცილოდაც არ ეყო: არც ერთმა ექიმმა ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია, არ გამოიკვლია, არა სცადა, რომ მისი უებრობა, თუ უვარგისობა საქვეყნოდ გამოეაშკარავებინა. მხოლოდ გაზ. „Врачъ“-ის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ამ საგნის შესახებვე ბ-ნის ვ. ნ. ერგოლსკისა, რომელსაც უცდია, სიმთვრალის წინააღმდეგ ღორთველა უხმარია და ძალიან გამოსადეგი წამალიც გამომდგარა. ათი კაცისათვის უწამლია ბ-ნს ერგოლსკის წელიწად ნახევრის განმავლობაში და სწორედ გაოცებულა ღორთველას უებრობით. აი რასა სწერენ ამის შესახებ რუსული გაზეთები:

ის ლოთები, რომელნიც ათის წლობით სმას მისდევენ, ღორთველით წამლობის შემდეგ ისე გამოკეთდნენ, რომ სრულიად შესძულდათ ღვინო, დასანახსავადაც-კი ვეღარ იტანდნენ. ერთი ლოთი, ბ-ნ ერგოლსკის სნეული, რომელიც სმასა და ლოთობის უბედურებად სულ არა სთვლიდა და თუ დაათანხმა წამლობაზედ, მხოლოდ დედის თხოვნით და აგრეთვე იმიტომ-რომ არა სწამდა-რა ამ ახირებულის წამლისა. რვაჯერ უწამლა თურმე ექიმმა ღორთველათი (Азотно-кислый стрихнинъ) ჯერ $1/_{60}$, მერე $1/_{40}$ და შემდეგ $1/_{20}$ გრანისა. არც წამლობის დროსა და არც შემდეგ ორის კვირის განმავლობაში ავადმყოფი სულ არ სვამდა, თუმცა ამბობდა, იმიტომ არ ვსვამ, რომ ფული არა მაქვსო, მიიღო თუ არა ჯამაგირი, გადასწყვიტა თურმე, რომ ბ-ნ ერგოლსკის გამოჯავრებული ერთი კარგად უნდა გამოვიყლეხთო ღვინოთაო. წარმოიდგინეთ იმისი უბედურება, დალია თუ არა ორი ჭიქა არაყი, ისეთ გულის რევა და გულის ზიდილი დაემართა, ისეთი თავის ტკივილი აუტყდა და პირის საქმება, რომ იძულებულ შეიქმნა ლოგინში ჩაწოლილიყო. ორის კვირის შემდეგ კვლავ მოიგონა დათრობა და იმისათვის ახლა წმინდა, მეურვეებისი არაყი აშოირჩია, მაგრამ იგივე საქმე დაემართა. მოისდომა კვლავ ძიჩვევა, ხელ-ხელა დაიწყო წვეთობით, ჯერ ერთი წვეთი დალია, მერე—მეორე, მესამე, და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ კვლავ დაიწყო ბევრის სმა.

რაღა თქმა უნდა, ძეგრე აღარ მოიადგომა თურმე წამლობა და ბ-ის ერგოლსკის ერთის ვერსის მანძილზედ მოხს გაურბოდა. ამ მაგალითიდგახა სჩახს, რომ ღორთველა, მარტო საწამლავი-კი არა, მშვენიერი წამალი ყოფილა ლოთობისა, მხოლოდ, რასაკვირველია, ძნელია იმ კაცის მორჩენა, რომელსაც, გინდა თუ არა, დათრობა და ავადმყოფობა უნდა.

აგერ 42 წლის დურგალი, ძალიან ნიჭიერი კაცია და თითქმი ათ-თუმნიანი ადგილი იშოვნა. ცოტ-ცოტა მიჰყო ხელი ამხანაგებთან ლოთობას და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ათის წლის განმავლობაში ერთს დღეს ვერ მოითმენდა, თუ მთელი ბოთლი ღვინო მაინც არ დალია. ბ-ნმა ერგოლსკიმ $1/_{40}$ გრ. ღორთველა უწამლა. მეორე დღეს გაოცებული დურგალი მივიდა ექიმთან და გამოუცხადა, რომ ღვინის სმის მადა არა მაქვსო. შემდეგ და შემდეგ წამალმა უფრო გასჭრა და ავადმყოფი ერთიან ფეხზედ წამოდგა. წამლობის პირველ დღეებშივე დაბადების დღეობაზედ მიიპატიჟეს და სცდილობდნენ დაელევინებინათ როგორმე, მაგრამ პირი ვერაფერს დააკარა. მას შემდეგ წელიწადმა და სამმა თვემ გაიარა, მაგრამ დურგალი ერთს წვეთსაც აღარა სვამს, კვლავ კარგი ადგილი მიიღო და ზურგი მოიმაგრა.

აგერ მეორე, უფრო ხნიერი ლოთი, რომელიც თხუთმეტი წელიწადია გაბმით სვამს. წამლობის მესამე დღესვე ავადმყოფი განიკურნა და სრულიად შესძულდა არამც თუ მარტო არაყი, ყოველივე სხვა მაგარი სასმელიც-კი.

აგერ კიდევ ბ-ნი ხ—ვი, რომელიც თუ ფხიზელია—სვამს, თუ დაიძინებს—მხოლოდ მაშინ, როცა ძალიან და ძალიან გაუღენთილია. თხუთმეტის წლის განმავლობაში სამი-ოთხი დღე არ შეხვედრია ისეთი, რომ ღვინო და არაყი არ დალიოს მოშუართებით. ასეთს ლოთობას ის მოჰყვა, რომ ხ—ვს კუჭის ტკივილი და ნაწლევებისა წვა დაემართა; შარდს ვეღარ იმაგრებდა და მარცხენა ფეხიც დაუმოკლდა, რადგან თეძოების ძვალს ვეღარა სძრავდა. ერთხელ ეს ხ—ვი მივიდა ექიმ ერგოლსკისთან და სთხოვა, უწამლე რამე ჩემს უბედურებასაო. ათჯერ წამლობის შემდეგ ისე გამოკეთდა, რომ ღვინის სმა სრულიად დაიშალა, პატიოსანი და პატივცემული კაცი შეიქმნა და ყოველისავე სენისაგან განიკურნა კიდეც.

ამ გვარად, თუ მართლა ყოველივე ზემოდ-მოყვანილი ამბავი უტყუარი აღმოჩნდა, სწორედ რომ უპოვნიათ წამალი ამ საშინელის სენის წინააღმდეგ, რომელსაც აქამომდე ვერაფერი ვერ უშველიდა...

ლ. ტ—ძე

(შემდეგი იქნება)

---

მაგივრად ყუთში ერთი არაბულად ნაწერი პერგამენტის ნაფლეთი და ერთიც თაფლის სანთლის ნამწვი იყო. როცა ბრალდებული ღარიბ-ღატაკია და არაფრის აწაპნევა შესაძლებელი არ არის, მაშინ მართლ-მსაჯულება ყოველგან, განსაკუთრებით-კი ისპანიაში, მიუდგომელი ხდება. შორს-გამჭვრეტელი და ქრთამის აღებაში გამოცდილ-გამობრძმებული მსაჯული დარწმუნდა, რომ ამ საქმეს, რაც უნდა ვატრიალო და ვაცოდილო, ვერაფერს გამოვრჩებიო, და გულ-დამშვიდებით მოისმინა საცოდავის პერეგილის ჩვენება, რაიცა, სხვათა შორის, იმისმა ცოლმაც დაამტკიცა...

დიახ, მსაჯულმა, რაკი დაპნაშავისაგან აღარაფერი იყო ასაღები, სრულიად ირწმუნა პერეგილის სიმართლე, განათავისუფლა საბრალო პერეგილი და ყუთიც უკან დაუბრუნა.

— ასეთის სისულელის ჩადენისათვის, როგორიც არის კაცთ-მოყვარეობა, მეტის სასყიდლის ღირსი მაინც არ ყოფილხარო, უთხრა ბოლოს.

თუმცა ამ პატივცემულმა მსაჯულმა პერეგილისაგან ოქრო და ვერცხლი ვერ მიიღო, მაგრამ არ იფიქროთ, რომ სრულიად ხელ-ცარიელი დარჩენილიყოს. მოცდენისა და შრომის ფასად ვირი გამოართვა პერეგილს და ძალიან ცოტა სასყიდელიაო, ამბობდა. ცოტაო?! ერთი უბედურის პერეგილისთვისაც გკითხათ, რომელსაც ამას შემდეგ წყალის ზიდვა ზურგით მოუხდა! ამ გვარმა აუტანელმა ჯაფამ, ასეთმა ოფლის ღვრამ პერეგილი წელში გასტეხა და უწინდელი სიმხიარულე სრულიად დაეკარგა.

— მსაჯული-კი არა—ძაღლიაო, ჰფიქრობდა (თქმას მაშ როგორ გაბედავდა!) საბრალო პერეგილი: ცხოვრების სახსარი მომისპო და საუკეთესო მეგობარი და თანაშემწე წამართვა.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო ყურ-დიდავ! წამოიძახებდა ის, როცა დაღლილ-დაქანცული კოკას ძირს ჩამოსდგამდა და შუბლიდგან ოფლს მოიწმენდა: დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ გახსოვს შენი უწინდელი პატრონი და ნანობ, რომ კოკები აღარ გკიდია. საბრალო ცხოველო! შენ-კი არა, მე ვარ საბრალო და უბედური...

ამ ტანჯვასა და ვაებას პერეგილისას ისიც ემატებოდა, რომ ცოლი ყოველთვის გაცეცხლებულ გაკაპასებული დაუხვდებოდა და ათას ნაირის საყვედურითა და სამდურავით თავს აბეზრებდა.

— ხომ გახსოვს, რაც გითხარი, როგორც გაგაფრთხილე! ვიცოდი, რა ბოლოც მოჰყვებოდა შენგან ჩადენილს სისულელეს. ერთის სიტყვით, ისე ენას არ დასძრავდა, რომ თავისი ჭკუა და გამჭრიახობა არ მოეგონებინა. როცა ბალღებს პური მოშივდებოდათ, ან პერანგი დაუცვდებოდათ, ის დაცინვით იტყოდა:

— მამასთან წადით, იმას სთხოვეთ! რად გაეწყდებათ, რომ ის ალჰამბრის მეფის მემკვიდრეა. გაალებს თავის შესანიშნავს და ძვირფასს ყუთს და კიდეც გაჰმევსთ, კიდეც ჩაგაცმევთ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, კეთილის საქმისათვის ამ უკეთურს ქვეყანაზე არავინ ისე სასტიკად არ დასჯილა, როგორც საცოდავი პერეგილი. თუმცა ყველა ამის გამო გული უწუხდა და სული ეხუთებოდა, მაგრამ რა გზა იყო, რომ არ გაეძლო და არ მოეთმინა.

ერთ საღამოს მთელის დღის მუშაობისაგან არაქათ-გამოლეულსა და ლოხე მიხდილს პერეგილს მეტის-მეტად მოაბეზრა თავი ცოლმა ყბედობითა და უწმაწურის ლაპარაკით, ასე რომ მოთმინების ფიალა აევსო. პასუხის გაცემას, რასაკვირველია, ვერ გაუბედავდა, მხოლოდ გაბრაზებული თვალები ზანგის მიერ ნაანდერძევს ყუთს მიაშტერა, ნახევრად ახდილი თავი ყუთისა თითქოს იღიმებაო, დასცინოდა იმათ, რომ ტყუილ-უბრალოდ დამიეწყეთო. დასასრულ გაცეცხლებული პერეგილი წამოდგა, აიღო ყუთი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იატაკზედ დაანარცხა და თან ესეც დაუმატა:

— წყეულ იყოს ის დღე, რა დღესაც შენ გნახე და შენს მაწანწალა პატრონს ჩემს სახლში ბინა მიეციო!..

იატაკზე დავარდნის დროს ყუთი გაიღო და პერგამენტი გამოვარდა. პერეგილმა ერთ ხანს უცქირა გულდაწყვეტით, შემდეგ დამშვიდდა და იფიქრა: ვინ იცის, რა სწერია ამაში! ზანგი სულელი ხომ არ იყო, რომ ასე უვლიდა და ინახავდა?!.

აიღო პერგამენტის ნაფლეთი და უბეში ჩაიდო.

მომდე ვერავითარი საშუალება ვერ ელობებოდა გზაზედ. ვნახოთ შემდეგში, როცა ექიმები უფრო უკეთ გამოსცდიან, მართლა ასეთ უკვდავების წყაროდ აღმოჩნდება, როგორის იმედსაც ეხლა იძლევა, თუ ესეც ჩაიღლუღლის წყალს დალევს და ცდის დროსვე ამოჰხდება სული.

◆◆

## წვრილი ამბები

ერთს მნელად დასაჯერებელს ამბავს მოგვითხრობენ ინგლისური გაზეთები. ამას წინად ბიუდლეიში (ინგლისშია) ერთის 14 წლის ქალის საქმე გაურჩევიათ, რომელსაც ოთხის წიგნის მოპარვას აბრალებდნენ. ქალი არწმუნებდა მსაჯულს, რომ მართალია, წიგნები მქონდა, მაგრამ-კი არ მომიპარავს, არამედ წასაკითხად ავიღეო. მსაჯულმა ასეთი თავის მართლება არ შეიწყნარა და ბრალდებულს 10 დღით მუშაობა გადაუწყვიტა და 3 წლით ზნეობის გამასწორებელს სახლში დამწყვდევა. ასეთმა განაჩენმა დიდი უკმაყოფილება და აურ-ზაური ასტეხა დამსწრე საზოგადოებაში. დიდის საყვედურით მივარდნენ სასამართლოს თავმჯდომარეს და ითხოვეს განაჩენის გაუქმება. რაკი მეტი გზა არ იყო, სასამართლომ განაჩენი გააუქმა.

— ამერიკაში თავისებურება და უცნაურობა ხომ ბევრია და ბევრი, მაგრამ ისეთი, როგორც გაზეთები ამბობენ, მნელად რომ ვისმეს ჩაედინოს. ნიუ-იორკში ერთმა მანდილოსანმა მოდის ტანისამოსთა შესაკერი მაღაზია გახსნა და, ვიდრე მუშაობას შეუდგებოდა, თავის ნაცნობთა და მეგობართა შორის განცხადება დარიგა, რომ ამა და ამ ღამეს საგანგებო წარმოდგენას ვმართავ და გთხოვთ დამესწროთო. მართლაც, დანიშნულს საღამოს, ამ ხრიკიანი მანდილოსანისას იმდენი მოგროვდა, რომ ტევა აღარ იყო. დაუკრეს მუსიკა და განცვიფრებულ სტუმართ გამოეცხადა მასპინძელი და გამოუცხადა, რომ ეს ერთი ხელი სადილათ ტანისამოსი, რომელიც ეხლა მე მაცვია ამდენად ღირსო. როცა დაატყო, რომ ტანისამოსი საკმაოდ გასინჯეს, თავის ოთახში გასწია. პატარა ხანს უკან მუსიკამ რაღაც ნაირი მარში დაუკრა და მასპინძელი ქალიც გამოჩნდა. საცხენოსნო ტანისამოსით მორთულმა და ცხენზე შემჯდარმა გაკვირვებულის სტუმრების წინ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. „კარგად გასინჯეთ, მოგწონსთ თუ არაო!“ შემდეგ ჩამოხდა ცხენიდამ, ამ ტანისამოსის ფასიც აცნობა სტუმრებს და გაეშურა თავის ოთახში. გავიდა რამდენიმე ხანი და მუსიკის ხმა ხელ-ახლა გაისმა. ხელ-ახლა გამოვიდა მასპინძელი ქალი, მაგრამ ეხლა სასეირნო ტანისამოსით იყო მორთული. შემდეგ საბალო და სადარბაზო ტანისამოსიც აჩვენა სტუმრებს. ბოლოს გამოუცხადა, რომ წარმოდგენა გათავდა და ნურას უკაცრავად თუ ვერ გასიამოვნეთ და ვერ გაგართეთო. იმედია თქვენს მეირფასს ყურადღებას არ მომაკლებთო. მართლაც ამ მანდილოსანის ხერხმა გასჭრა და იმის მაღაზიას აუარებელი მუშტარი მიაწყდა.

— ლისაბონში (პორტუგალია) ამას წინად ერთი ხომალდზე მოსამსახურე ოთხმოც-და-თუთხმეტის წლის კაცი დაჰმარხეს. დამარხვაზე დაესწრნენ მეფე პორტუგალიისა და სხვა ბევრი დიდებული და წარჩინებული გვამი. მიზეზი ასეთის პატივისცემისა ამ უბრალო კაცისადმი ის იყო, რომ განსვენებულის ასისა და ათასის კაცის სიცოცხლე გადაერჩინა დაღუპვისაგან.

◆◆

## დეპეშა

### 26 მარტი

ნიუ-იორკი. იმ გადმოსახლებულთ, რომელნიც მოვიდნენ აქ რუსეთიდამ გემით „Данія“, აღეკრძალათ დანიშნულს ალაგას წასვლა, რადგან მეტის-მეტად დასუსტებულნი არიან ჯანით და შეიძლება ტვირთად გაუხდნენ სახელმწიფოსაო.

ვენა. ბელჩევის მოკვლის შემდეგ, ბუდაპეშტის პოლიციამ მიიღო დეპეშით ამბავი სტამბულოვისაგან, რომ ვითომ მკვლელნი სოფიიდამ პიროტს გამოიქცნენო, იქიდამ რკინის გზით სერბიაზე გაიარეს $^{18}/_{30}$ მარტს ღამე და გასცდნენ ვენგრიის სამზღვარსაო. სტამბულოვი სთხოვდა, მიაგენით როგორმე ბოროტ-გამზრახველთა კვალსაო. როგორც ამბობს გაზ. „Neues Wiener Tageblatt“-ი, ვენგრიის პოლიციამ აუწყა სტამბულოვს, რომ ეჭვი არ არის მკვლელები ვენგრიაში არ ყოფილან და არც არავითარი კვალი არა სჩანს, რომ იმათ ვენგრიაში გაევლოთო.

### 27 მარტი

პეტერბურგი. მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, დიდი მთავრინები ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს-ძე გუშინ წაბრძანდნენ გატჩინოს.

უმაღლესის ბრძანებით 26 მარტის თარიღით ფლიგელ - ადიუტანტი, შტაბს-კაპიტანი ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკისა, დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის-ძე გამორიცხულ იქმნა სამსახურიდამ.

„Новое Время“-ს გაუგონია, რომ უწმ. სინოდს მოუწონებია პროექტი უფასო სკოლებისა გლეხთა შეილებისათვის დედათა და მამათა მონასტრებშიო.

ვენა. ამ დღეებში შეპყრობილ იქმნენ ცარიბროდში ორნი აქ მცხოვრებნი უცხოელნი: ბრაზილიის ფერმერი სუცა და საქსონელი რკინის გზის ინსპექტორი მენცნერი, როცა სტამბოლიდამ ვენას მოდიოდნენ. ორივეს დაჰბრალდათ ბოლგარიაში მომხდარი კაცის კვლა. შეპყრობილნი განთავისუფლებულ იქმნენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩვენება ჩამოერთვათ.

### პეტერბურგის ბირჟა, 26 მარტი.

| | მყიდველნი მან. კ. | | გამყიდველნი მან. კ. | | გარიგებულნი მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 | 74 | 6 | 74 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები | $134^{1}/_{2}$ | | 135 | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 | 03 | 1 | 05 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 233 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა | $221^{3}/_{4}$ | | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | $216^{3}/_{4}$ | | — | „ | 214 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — | „ | — | „ | — | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვლავზე გემები.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა ქახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

**ა. როინაშვილი**

ყიდულობს ყველა ნაირს მკერდებურს

ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიანთ მკერდებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრაშუმის მაფეულობით კერვა ფარჩაზედ: ბაფთებისა, სუზნებისა, თასჩის ფარდებისა, და სხვა. უმორჩილესად ვსთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, სარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

**ბორქილი**

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## სასტუმრო ოთახები
## (Дворянскiе Номера)

(მადათოვის ქუჩაზედ, თავ. ორბელიანის სახლებში, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ)

ხელ-ახლად გადავაკეთეთ და მეტად გავაუკეთესეთ ჩვენი ოთახები. ზომიერ ფასად შეუძლიან მსურველს ყოველისავე მოპოვება. სამაგალითო სამზარეულო გვაქვს და აგრეთვე საუკეთესო მოსამსახურენიც. ვინც უფრო დიდხანს ინებებს დარჩენას, იმათ ერთი-ორად უფრო იაფად დაუჯდებათ ცხოვრება. (3—1)

სოფელ ჭანჭათს
ოზურგეთის მაზრაში გავკეთებ ზომიერ ფასად

**ახალ - სისტემის სკებს**
და
**აბრეშუმის ჭიისათვის მოხერხებულ თაროებს**

სკოლებს 10% დაეთმობა
წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლაში კურს-დამთავრებული აპოლონ წულაძე
(5—4)

«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული ლექსებით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванiю по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ორ აბაზად.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Тифлисъ, Доз. цен. 27-го Марта 1891 г. Типографiя Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Melик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.